სკოპინგის დასკვნა N22

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხნა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯი თი ემ გრუპ“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 25.12.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: გარემოსდაცვითი კონსულტანტი თეიმურაზ კეპულაძე.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მიერ წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხნა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განცხადება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხნა) გაცემულია N11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000035), რომლის საფუძველზეც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 30 მაისს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-462). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2019 წელს შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ზემოაღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-834), რომლის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. თუმცა, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ 2021 წლის 14 სექტემბრის განცხადების საფუძველზე, საწარმოში აღარ იგეგმებოდა წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა-ექსპლუატაცია, შესაბამისად 2021 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებით (№2-1456), №2-834 სკრინინგის გადაწყვეტილება გამოცხადდა ძალადაკარგულად. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) 2024 წლის 25 იანვარს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (N39/ს), გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული პროცედურის გავლა.

2022 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჯი თი ემ გრუპის“ კუთვნილი ობიექტის ისნპექტირება, როს საფუძველზეც საწარმოში

გამოვლენილ დარღვევებზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79[8] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073051 ოქმი, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის №4/7-2023 დადგენილებით, შპს „ჯი თი ემ გრუპი“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მიმართ შემუშავებული დეპარტამენტის 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული საწარმო (ფეროშენადნობთა ქარხნა) მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. არგვეთაში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.03.49.641). ამასთან, წარმოდგენილი Shp ფაილებისა და სიტუაციური სქემების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მოიცავს შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.49.642) ნაწილს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო-დასავლეთით უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 310 მ (სოფ. არგვეთა), ხოლო აღმოსავლეთით - 390 მეტრით (სოფ. სვირი). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით (Shp ფაილები) დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლები დაშორებულია დაახლოებით 314 და 250 მეტრით. ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმო და შპს „ზესტაფონის სათბურის“ სასათბურე მეურნეობა. ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განთავსებულია შპს „საირნინი 2006“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი და შპს „შაველა 2020“-ის სილიკომანგანუმის საწარმო. ტერიტორიაზე მისასვლელი გზა შემოდის თბილისი-სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზიდან, რომელიც დაშორებულია დაახლოებით 350 მეტრით. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 20 მეტრში გადის შპს „საქართველოს რკინიგზას“ ცენტრალური მაგისტრალი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საქმიანობას წარმოადგენს მეტალურგიული წარმოება, რისთვისაც საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი ღუმელი, სადაც მონაცვლეობით იწარმოება: ფეროსილიკომანგანუმი – 96 ტ/დღე-ღამეში (31680 ტ/წელ), ფეროსილიციუმი - 60 ტ/დღე-ღამეში (19800 ტ/წელ) და ფეროქრომი - 60 ტ/დღე-ღამეში (19800 ტ/წელ). ობიექტი ფუნქციონირებს წელიწადში 330 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური ობიექტები: საღუმელე კორპუსები; საკაზმე მასალების საწყობი; ნედლეულის მიწოდების ხაზი; დნობის პროდუქტების ჩამოსხმის უბნები; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაგრილების მბრუნავი სისტემა; მტვერდამჭერი სისტემა (სახელოებიანი ფილტრები); წიდის სამსხვრევი დანადგარი; პროდუქციის სამსხვრევი დანადგარები; მტვერდამჭერში დაჭერილი მანგანუმის შემცველი

ნარჩენების ბრიკეტირება; სატრანსფორმატორო ქვესადგური; ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა; მექანიკური საამქრო; ნავთობპროდუქტების საცავი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ფეროშენადნობთა ქარხანაში განხორციელდა რიგი ცვლილებები და საწარმოში არსებული დამხმარე ტექნოლოგიური პროცესები არ შეესაბამება N11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასა და 2012 წლის გზშ-ის ანგარიშში მოცემულ მდგომარეობას, შესაბამისად დაგეგმილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. კერძოდ, მეტალურგიული წარმოების პროცესში წარმოქმნილი მანგანუმის შემცველი წიდის (40000 ტ/წელ) დროებით განთავსება გათვალისწინებული იყო დახურულ შენობაში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით. არსებული მდგომარეობით, საწარმოო პროცესში წარმოქმნილი წიდა ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. საწარმოში წიდა შემოიზიდება ავტომანქანებით და მიეწოდება წიდის სამსხვრევს, საიდანაც დამსხვრეული მასა ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ვიბრაციულ საცერზე, ფრაქციული გაყოფის მიზნით. ფრაქციული წიდა ავტოდამტვირთველით მიეწოდება გამდიდრების ხაზის ბუნკერს, საიდანაც წყალთან ერთად გადადის დამლექ მანქანაში. წიდის წონითი გაყოფის შედეგად მიიღება სილიკომანგანუმის შემცველი პროდუქტი და დაბალი მანგანუმის შემცველი წიდის ღორღი. გამოყენებული ტექნიკური წყალი გადადის სალექარებში და გაწმენდის შემდეგ ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში. დამსხვრეული მანგანუმის მაღალი შემცველობის წიდა გადადის ნედლეულის საცავში და ბრუნდება ღუმელებში, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველობის წიდა გადის სარეალიზაციოდ სამშენებლო ღორღის სახით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, საპროექტო ტერიტორიას დაემატება ობიექტის ჩრდილო-დასავლეთით არსებული წიდის გადამუშავებისთვის გათვალისწინებული 3000 $მ^2$ ფართობის მქონე არეალი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საწარმოს ერთ-ერთი ნედლეულის - რკინის ბურბუშელას ობიექტზე წარმოქმნილი მეტალის ნარჩენებით (ჯართი) ჩანაცვლება, რომელიც ღუმელში მიწოდებამდე ქუცმაცდება აირული ჭრით. ასევე, დახურულ ანგარში საწყობდება მხოლოდ მანგანუმის შემცველი ნედლეული და კოქსი, ხოლო სხვა მასალები (კირქვა, დოლომიტი, მანგანუმის დაბალი შემცველობის (ინერტული) წიდა, რკინის ჯართი) განთავსებულია ღია ტერიტორიაზე. საწარმოში მოწყობილია ავტოტექმომსახურეობის ბოქსი, სადაც ხდება გამოყენებული ავტოტრანსპორტის შეფასება და მსუბუქი ტექნიკური მომსახურეობა. გარდა ამისა, დაგეგმილია ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით, 2015 წელს მოწყობილი, 1000 $მ^3$-მდე მოცულობის უფუნქციო მდგომარეობაში მყოფი ნავთობპროდუქტების საცავის იჯარით გადაცემა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ფეროშენადნობთა ქარხანაში, ასევე გათვალისწინებულია მანგანუმის შემცველი კუდების (დაბალპროცენტიანი მადნის) დამუშავებას საწარმოს მიმდებარედ არსებულ გამამდიდრებელ დანადგარზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს მეტალურგიული საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და წარმადობის ცვლილებას. საწარმო იმუშავებს კვლავ წელიწადში 330 დღე, 24 საათიანი გრაფიკით (7920 სთ/წელ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული წიდის გამდიდრების ხაზის წარმადობა იქნება დღეში 150 ტ, ხოლო წელიწადში 49500 ტ წიდის გადამუშავება.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ანგარიშის თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ხოლო წიდის გამდიდრების ხაზი წლებია მოწყობილია, საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის განხილვა არ მომხდარა.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დამატებით ახალი მასშტაბური წყაროს მოწყობა-ექსპლუატაციას ან/და საწარმოს წარმადობის გაზრდას, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტზე განთავსდა წიდის სამსხვრევი და მეტალის ნარჩენების აირული ჭრის უბნები და ამასთან, ნედლეულის დახურული საწყობების ნაცვლად მოეწყო ღია სასაწყობო მოედნები. ანგარიშის მიხედვით, ქარხანაში არსებულ ღუმელებში წარმოქმნილი მტვრის დასაჭერად გათვალისწინებული იყო სველი მტვერდამჭერი სისტემა, თუმცა მის ნაცვლად მოეწყო მშრალი მტვერდამჭერი სისტემა – სახელოებიანი ფილტრები. თითოეულ ღუმელში დნობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი, გამწოვი სისტემის საშუალებით, ხვდება სახელოებიან ფილტრებში, საიდანაც გაივლის ბრიკეტირების დანადგარს და შემდგომ ბრუნდება საწარმოო პროცესში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით მოსალოდნელი ზემოქმედება შეფასებული იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ძირითადი ტექნოლოგიური უბნები განთავსებულია დახურულ სივრცეში, რაც შეამცირებს ხმაურის ვიბრაციის გავრცელებას. ხოლო ღია სივრცეში არსებული წიდის გამდიდრების უბანი წარმოადგენს დამატებით ხმაურის წყაროს. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული დეტალური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება ხდება ღუმელებისა

და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის, რომელიც აღჭურვილია ბრუნვითი სისტემით. წყალმომარაგება ხორციელდება ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. ანგარიშის თანახმად, წიდის გამდიდრების უბანზე გამოყენებული ტექნიკური წყალი ასევე ჩართული იქნება ბრუნვით სისტემაში. ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გროვდება საასენიზაციო ორმოებში და პერიოდულად გაიტანება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის მუნიციპალური ნარჩენები დროებით შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ობიექტზე ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება. ნარჩენები წარმოიქმნება მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის, შეკეთებისა და მომსახურეობის შედეგად, საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის, ასევე სათავსოებსა და ოფისებში. საწარმოსათვის მეტალურგიული პროცესებიდან მიღებული წიდა არ წარმოადგენს ნარჩენს. ანგარიშის მიხედვით, წარმოქმნილი წიდის ნაწილი ბრუნდება ღუმელში, როგორც მანგანუმის შემცველი ნედლეული, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველობის წიდა გამოიყენება სამშენებლო ღორღის სახით.

როგორც უკვე აღინიშნა, ფეროშენადნობთა ქარხნის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 175 მეტრში განთავსებულია შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმო, ხოლო 300 მეტრში – შპს „შაველა 2020“-ის სილიკომანგანუმის საწარმო. შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე, კუმულაციური ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან, ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებასთან და ნარჩენების წარმოქმნასთან. გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ფეროშენადნობთა ქარხნის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის

გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 3 თებერვალს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ჯი თი ემ გრუპის", ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი პირი და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: უახლოესი საცხოვრებელი სახლის საწარმოს ტერიტორიიდან დაშორების მანძილს, მოსახლეობის უსაფრთხოებას, წიდის განთავსების სხვა ალტერნატიული ტერიტორიების განხილვას, უსაფრთხოების ნორმების მუდმივ კონტროლის საჭიროებას და საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების საკითხს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, განმარტებები გააკეთეს შპს კომპანია „ჯი თი ემ გრუპის" და სკოპინგის ანგარიშის შემდგენელმა პირმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა ააიპ მწვანე ალტერნატივას" მიერ, რომლებიც ეხებოდა ალტერნატივების საკითხს, ადამიანთა (როგორც მომსახურე პერსონალი, ისე მიმდებარედ მაცხოვრებლები) და მათ ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, ნარჩენების მართვას, კუმულაციურ ზემოქმედებას და სხვა. წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები, სკოპინგის დასკვნასთან ერთად, გადაეგზავნება საქმიანობის განმახორციელებელს.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი** უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. **გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ);**

5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების დეტალური აღწერა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ობიექტების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საწარმოს განახლებული გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით, არსებული და საპროექტო დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობების/უბნების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობების მითითებით);

- საწარმოს საქმიანობის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე), ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებული დანადგარების, ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დეტალური ინფორმაცია (დანადგარების საპასპორტო მონაცემების მითითებით, ტექნოლოგიური სქემების მითითებით) გენ-გეგმაზე ასახვით (ასევე, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოო ხაზები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზების წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი სახეობისა და რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ. ამასთან, მზა პროდუქციის განთავსების ადგილები/საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - დაზუსტებული ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა (მათ შორის ჩანაცვლებული) და დანამატების შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია (სხვადასხვა სახეობის) ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ. ამასთან, ნედლეულის საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- დეტალური ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ, გენ-გეგმაზე ჩვენებით;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში, ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ; (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სრული ტექნოლოგიური პროცესის წარმართვის

შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;

- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ (გამოსაყენებელი რაოდენობების მითითებით);
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა, ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია ობიექტზე წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში, მათ შორის ღუმელების და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის წყლის გამოყენების შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია - საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის ნედლეულისა და წიდის ღია დასაწყობების უბნებზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში წყლის გამოყენების, მათ შორის ბრუნვითი წყალმოხმარების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით), მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- **წარმოდგენილი ობიექტის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე საწარმოები. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაბნევის ანგარიში;
    - ,,დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N413 დადგენილების შესაბამისად უწყვეტი მონიტორინგის საკითხი;
    - საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში დადგენილი უნდა იყოს ყველა საწარმო, რომელთა მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა სახეობები იდენტური იქნება საკვლევი ობიექტის მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებებისა. ასეთის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედების მიზნით საკონტროლო ობიექტების მიმართ;
    - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემის (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით), აღნიშნული მოწყობილობების პარამეტრების დაცვისა და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის, მათ შორის ფილტრების დროული გამოცვლის, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის შესახებ;
    - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
    - ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად,

გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე/საცხოვრებელ სახლთან მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;

- დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით). წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება/მოდელირება, გამოყენებული მეთოდის/ფორმულის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია გაანგარიშების შედეგების - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურების რისკები, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მნიშვნელოვანია, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული

დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, მოიცავს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების #1003255, #1000715 (შპს „ჯი თი ემ გრუპი“) ლიცენზიებს და მათ სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონებს, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში;
- გზშ-ის ანგარიშში დასაზუსტებელია ინფორმაცია წიდის (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა და წარმოშობის წყაროს) შესახებ. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების აღდგენა/განთავსების ოპერაციები. გზშ-ში წარმოსადგენია ინფორმაცია ტერიტორიაზე მოწყობილი ავტოტექმომსახურეობის ბოქსის საქმიანობიდან წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა, შემდგომი მართვის საკითხები) შესახებ. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური აღწერილობა/ინფორმაცია ნარჩენების დროებითი შენახვის პირობების შესახებ, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების, რომელიც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების

შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოეწყოს;

- გზშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მეტალურგიული საწარმოს ცვლილებების განხორციელების, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში კომპანია გეგმავს მანგანუმის შემცველი კუდების (დაბალპროცენტიანი მადანის) დამუშავებას საწარმოს მიმდებარედ არსებულ გამამდიდრებელ დანადგარზე.“ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია მანგანუმის შემცველი კუდებისა და მათი დამუშავების პროცესის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება მოიცავს წიდის გამდიდრების ხაზის ექსპლუატაციას, ასევე მანგანუმის შემცველი კუდების (დაბალპროცენტიანი მადანის) დამუშავებას საწარმოს მიმდებარედ არსებულ გამამდიდრებელ დანადგარზე. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებას. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული საწარმო (ფეროშენადნობთა ქარხნა) მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. არგვეთაში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.03.49.641). ამასთან, წარმოდგენილი Shp ფაილებისა და სიტუაციური სქემების თანახმად, საპროექტო ტერიტორია ასევე მოიცავს შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.49.642) ნაწილს. გარდა ამისა, 2024 წლის 25 იანვრის სკრინინგის გადაწყვეტილებასა (ბრძანება N39/ს) და შესაბამის სკრინინგის განცხადებაში განხილულია ორივე საკადასტრო მიწის ნაკვეთი, როგორც საპროექტო ტერიტორია. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორია, ხოლო ტერიტორიის შესახებ საკადასტრო კოდებით, Shp ფაილებით და სიტუაციურ სქემებზე მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო-დასავლეთით უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 310 მ (სოფ. არგვეთა), ხოლო აღმოსავლეთით - 390 მეტრით (სოფ. სვირი). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით (Shp ფაილები) დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლები საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 314 და 250 მეტრით. შესაბამისად, უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „წიდის გამდიდრების ხაზის წარმადობა იქნება 150 ტ/დღ, რაც წელიწადში შეადგენს 49500 ტ ხაზის მწარმოებლურობა შეადგენს

10 $მ^3$/სთ. ხოლო მისი სამუშაო რეჟიმი იქნება დღეში 10 საათი, წელიწადში 3300 სთ.“ დაზუსტებას საჭიროებს წიდის გამდიდრების ხაზის წარმადობა (სთ, დღე, წელიწადი) და სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალმომარაგება ხორციელდება ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ჭაბურღილიდან წყლის მოპოვების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი ლიცენზიის მითითებით;
- საწარმოს ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ობიექტები (მაგალითად შპს „ჯორჯია მეტალი“, შპს „ზესტაფონის სათბური“, შპს „საირნინი 2006“, შპს „შაველა 2020“), რომელთა შესახებ (მათ შორის ფუნქციური დატვირთვის შესახებ) ინფორმაცია არასრულადაა წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშში. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ რადიუსში არსებული ობიექტებისა და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ, სიტუაციურ სქემაზე ჩვენებით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 20 მეტრში გადის შპს „საქართველოს რკინიგზას“ ცენტრალური მაგისტრალი. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ტექნოლოგიაში გამოყენებული ტექნიკური წყალი მიეწოდება სპირალურ კლასიფიკატორს, საიდანაც გადადის სალექარებში და გაწმენდის შემდეგ ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში.“ თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას სალექარების შესახებ. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული/დაგეგმილი სალექარების შესახებ (რაოდენობა, ტიპი, წარმადობა) და წარმოდგენილი უნდა იქნას სალექარების შესახებ (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა);
- ინფორმაცია სალექარებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „ჯი თი ემ გრუპი“ გეგმავს ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით მოწყობილი, 1000 $მ^3$-მდე მოცულობის უფუნქციო მდგომარეობაში მყოფი ნავთობპროდუქტების საცავის იჯარით სხვა კომპანიაზე გადაცემას. გადაცემის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ნავთობპროდუქტების საცავის და შესაბამისი ტერიტორიის იჯარით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ასახვით). ამასთან, გაცნობებთ, რომ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად;

- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს 2019 წლის 30 მაისში გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-462) ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ აღნიშნულია, რომ სააგენტოს მიერ სკრინინგის N39/ს გადაწყვეტილება გაცემულია 2024 წლის 15 იანვარს, თუმცა სკრინინგის გადაწყვეტილება გაცემულ იქნა ამავე წლის 25 იანვარს, რაც დასტურდება ანგარიშის დანართით 3 მოცემული დოკუმენტაციით. აღნიშნული უზუსტობა დაკორექტირებულ უნდა იქნას გზშ-ის ეტაპზე;
- **საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ცხრილის სახით);**
- **გზშ-ის ანგარიშში მკაფიოდ, ცხრილის ან/და ცალკე თავების სახით უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული, არსებული და დაგეგმილი ცვლილებები, ერთმანეთთან შედარებით. მათ შორის, მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთთან შედარებული გზშ-ის ანგარიშით, არსებული მდგომარეობითა და საპროექტო ცვლილებებით გათვალისწინებული წლიური, დღიური და საათობრივი წარმადობები, ასევე გამოყენებული ნედლეულის რაოდენობების შესახებ ინფორმაცია;**
- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.**

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მიერ, წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხნა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.